ინკლუზიური შეფასება

სერიული წარმოება

ჯგუფური სისტემა - მაგრამ თითოეული ბავშვი უნიკალურია

"You'll soon fit in."

ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა ისწავლოს და მოახდინოს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება

სკოლებისა და სკოლის მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარებაზე ზრუნვით რათა ეფექტურად უპასუხონ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებებს, ჩვენ ვქმნით საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს თითოეულ ბავშვს, ისწავლოს და მოახდინოს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება.

ჩვენი მიზანი (და განხორციელებული ზეგავლენის შეფასების საზომი) მოსწავლის მიერ საკუთარი პოტენციალის რეალიზებაა.

მრავალფეროვნება და ინკლუზია

მეცნიერული განმარტება

ინკლუზიური შეფასება გულისხმობს სამართლიანი და ეფექტური შეფასების მეთოდებისა და პრაქტიკის შემუშავებას და გამოყენებას, რომლებიც საშუალებას აძლევს **<u>უკლებლივ ყველა მოსწავლეს</u>**, თვალნათლივ აჩვენოს, თუ რა იცის, რა ესმის და რა შეუძლია

პერსონიზებული სწავლა

- **...**არის **ხელმისაწვდომი** და თავისუფალი **ზედმეტი** ბარიერებისგან.

არ არის...

- შემუშავებული, მიწოდებული ან დაყოფილი იმგვარად, რომ ზედმეტად **ნაკლებად სარგებლიან მდგომარეობაში აყენებს** მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს და შედეგად, აბრკოლებს მათ მიერ სწავლის მიზნების სრულად მიღწევას და დემონსტრირებას.

ცოდნის მიღების შეფასება

ვსწავლობ თუ არა ჩემთვის საუკეთესო მეთოდით?
რისი დახსომება და გაგება შემიძლია?
რაზე უნდა გავამახვილო ყურადღება გამეორებისას?
რა მიზნები მაქვს?
როგორ ვაპირებ გაუმჯობესების მიღწევას?
რა უნდა გავაკეთო შედეგების გასაუმჯობესებლად?
როგორ მეცოდინება, სწორად ვმეცადინეობ თუ არა?
კონკრეტულად რა უწყობს ხელს ჩემი ფიქრის და
აზროვნების პროცესს?
სწორი მიმართულებით მივდივარ თუ არა?

პერსონალიზება

მიდგომათა პერსონალიზება
შავკანიან მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე მორგებით

მნიშვნელოვანი წარმატების მოლოდინის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს შავკანიან მოსწავლეებს სწავლაში გამოწვევებს გაუმკლავდნენ

მოსწავლეთა საჭიროებების გააზრება
გაცნობიერება იმისა, რომ შავკანიან მოსწავლეებს *შეიძლება* ჰქონდეთ თავიანთი თანატოლებისგან განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები

© Crown copyright 2009

რატომ ინკლუზიური შეფასება?

სასწავლო პროგრამის შემუშავებისას (სადაც შესაძლებელია) და ინდივიდუალურ საჭიროებათა მიხედვით პროგრამის გონივრულ ფარგლებში კორექტირებისას (საჭიროების შემთხვევაში), შეფასების დავალებები ყოველ მოსწავლეს ანიჭებს მიღწეული წარმატების დემონსტრირების თანაბარ შესაძლებლობას.

შეფასების ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც, უმეტესწილად, ეფუძნებოდა დაფარული გამოცდის ჩატარებასა და სტანდარტული ესეს დაწერას, უსარგებლო გამოდგა გამოევლინა და შეეფასებინა სწავლის განსხვავებული შედეგების სპექტრი, რაც თანამედროვე კურსების შედეგად მიიღწევა.

შეფასების განსხვავებული ფორმები

დიაგნოსტიკური შეფასება (მომზადება)

- უზრუნველყოფს მოსწავლის არსებული ცოდნის და შესაძლებლობათა შეფასების ინდიკატორს
- ხელს უწყობს თვითრეგულირების უნარ-ჩვევის გამომუშავებას მოსწავლეში
- ავლენს სწავლის პროცესის ხელშეწყობის საჭიროებას

სტრუქტურული შეფასება (გაუმჯობესება)

- უზრუნველყოფს მოსწავლეებს დროული უკუკავშირით / სამომავლო პროგნოზირებით
- გამიზნულია რომ ზეგავლენა მოახდინოს სწავლის მიმდინარე პროცესზე და გააუმჯობესოს მოსწრება

შემაჯამებელი შეფასება (ანალიზი)

- პროგრესის და სერთიფიცირების მიზნით
- მოსწავლეები შემაჯამებელ დავალებებში ხშირად იყენებენ აკადემიურ მოსწრებას, როგორც ცოდნის მიღების სანდო მაჩვენებელ მონაცემს

სწავლების რა განსხვავებული სტილის გამოყენებას აპირებთ?

- ვიზუალური საშუალებები მაგ., ფოტოები, გონებრივი რუკები, რუკები და დიაგრამები, ნახატები, ვიდეომასალა, ციფრული კამერები, კედლის სტენდები?
- სმენითი მაგ., თხრობა, ამბის მოყოლა, საუბარი, ეფექტური კითხვები, პრობლემის გადაჭრა, მოვლენათა ნათელი თანმიმდევრულობა, მუსიკა, სიმღერა?
- კინესთეტიკური, მაგ., მოძრაობის გამოყენება, როლური თამაში, “არტეფაქტები”, გარშემო სივრცის გამოყენება

შეზღუდული შესაძლებლობებისა და თანასწორობის კანონმდებლობა



ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობების სოციალურ მოდელსა და მოსწავლეთა დახმარების სახელმწიფო პროგრამას

რას ვაფასებთ?

აფასებს თუ არა თქვენი შეფასების ტესტი იმას, რაც სასწავლო მიზნებით არ არის გათვალისწინებული.

- სიბეჯითე,
- წერის სიჩქარე,
- ენის პრაქტიკული გამოყენება

შეიძლება განვიხილოთ ეს როგორც გამოცდის ალტერნატივა?

რას ვაფასებთ?

სწავლის შედეგები

დროული ინფორმაცია,
ნათლად ცოდნა იმისა, თუ რას ვაფასებთ და როგორ

სწავლის შედეგები
ხელმძღვანელობს ამ პროცესს!

ნათელი დიზაინი და ფორმა.

წინ გადადგმული ნაბიჯი ყველა მოსწავლის „ინოვაციური“ და „ინკლუზიური“ შეფასებისკენ



ალტერნატიული სწავლება

ცალკე პოლიტიკა და პრაქტიკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის

ინკლუზიური სწავლება

ინკლუზიური და მოქნილი პოლიტიკა, პროცედურები და პრაქტიკა, რაც ყველას წარმატებაზეა ორიენტირებული

ინკლუზიური მიდგომა

მაგალითი - უოტერფილდისა და უესტის 2006 წლის პროექტი *SPACE* პლიმუთის უნივერსიტეტი

სარეზერვო მიდგომა

გვთავაზობს არსებულ სისტემებში სპეციალური ზომების ან რეგულაციების დანერგვას

ალტერნატიული მიდგომა

გვთავაზობს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთათვის, როგორც დამატებით საშუალებას

ინკლუზიური მიდგომა

გულისხმობს სწავლის ხელმისაწვდომობას უკლებლივ ყველა მოსწავლისთვის

ზოგადი რეგულაციები უმაღლესი განათლების სისტემაში

- დამატებით დრო წერითი დავალებებისთვის
- ანონიმური შეფასება
- შესვენებები
- გადამწერი თუ მკითხველი
- კომპიუტერის გამოყენება
- ცალკე აუდიტორია
- ფერადი ქაღალდი / გამყოფები
- ფერადი სტიკერები
- ალტერნატიული ფორმატის უზრუნველყოფა
- სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა / აპარატურა
- სპეციალიზებული გრაფიკი

- რამდენად სტანდარტიზებულია აღნიშნული რეგულაციები შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხის მიხედვით?
- როგორ ხდება რეგულაციების შეთანხმება?
- რა პოტენციური ზეგავლენა აქვს აღნიშნულ რეგულაციებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე?
- რამდენად შეუძლია აღნიშნულ რეგულაციებს უკლებლივ ყველა მოსწავლის ხელშეწყობა?

რამდენიმე საწყისი შეკითხვა?

- გაქვთ თუ არა მიღწევების შეფასების რაიმე სქემა?
- შეისწავლეთ თუ არა შეფასების ალტერნატიული ფორმები? მაგ., თანმიმდევრული ვიდეოჩანაწერი, თანატოლთა შეფასება, თვითშეფასება?
- როგორ ახდენთ მოსწავლეთა ჩართვას თავიანთი და თანატოლების მოსწრების შეფასებაში?

ინკლუზიური შეფასება შეიძლება ნიშნავდეს მეტს, ვიდრე პროგრამის მცირე რაოდენობის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებაა

- კონკრეტული ინდივიდების საჭიროებებზე ორიენტირებული გონივრული რეგულაციების სისტემა შეიძლება ნიშნავდეს სტრატეგიული რეგულაციების (რაც, ასევე ნაკარნახევია თანასწორობის მარეგულირებელი კანონმდებლობით) უგულებელყოფას.
  - იწვევს დამატებით დატვირთვას რესურსებზე, მაგ. დე მონფორტის უნივერსიტეტში (ლესტერი, დიდი ბრიტანეთი) 1500 სტუდენტი მუდმივად საჭიროებს გამოცდის რეგულირებას.
- დაწესებული სტანდარტების შენარჩუნების და მდგრადი პრაქტიკის შენარჩუნებისთვის გაწეულმა ძალისხმევამ გამოიწვია სტანდარტული რეგულაციების დანერგვა კონკრეტული შეზღუდვების შემთხვევაში.
  - იწვევს დისკრიმინაციულ პრაქტიკას.

განსხვავებულ შეფასებათა მახასიათებლები

ალტერნატიული შეფასება ინდივიდუალური პირებისთვის

შეზღუდვების მიხედვით სტანდარტიზებული რეგულაციები.

რეგულაციები შემუშავებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სახელით (და არა მათთან ერთად).

დიდი რაოდენობის რეგულაციების კოორდინირება.

რეგულაციები მოქცეულია არსებული შეფასების პოლიტიკის/პრაქტიკის ფარგლებში.

ინკლუზიური შეფასება ყველასთვის

აქცენტი კეთდება შეფასების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენება.

შეფასების მისადაგება სწავლის შედეგებთან.

მოსწავლეთა ჩართულობა მუშაობის პროცესში.

დეტალურად ფასდება რეგულაციების ზეგავლენა.

გონივრული რეგულაციების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

სწორი ბალანსის მიღწევა



პლიმუთის უნივერსიტეტის
ინკლუზიური შეფასების მიზანი:

‘ყველა სტუდენტი შეფასდება სამართლიანად და მხარდაჭერის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემით’.

ინკლუზიური შეფასება:

- ✓ სწავლების მოდულითა და სასწავლო პროგრამებით განსაზღვრული შედეგების მიღწევისა და აკადემიური სტანდარტების დაძლევის სტუდენტთა შესაძლებლობების მიუკერძოებელი შეფასება
- ✓ ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის
- ✓ ყოველ სტუდენტს აქვს თავისი მიღწევების დემონსტრირების თანაბარი შესაძლებლობა
- ✓ სტუდენტთა ჩართულობის, სწავლის, განვითარებისა და შენარჩუნების მხარდაჭერა, და სტუდენტთა მრავალფეროვანი სპექტრის საჭიროებათა დაკმაყოფილება
- ✓ მოიპოვეთ რწმენა და ეფექტური პროგრამის შემუშავების გზით შესთავაზეთ სტუდენტებს ადექვატური დავალებები რომლებიც ასახავს რეალურ ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებს.
- ✓ მოდიფიცირებული შეფასების საჭიროების შემცირება

ინკლუზიური შეფასების დანერგვა

- გააძლიერეთ შეფასების პოლიტიკა, პროცესები და პრაქტიკა.
- პოპულარული გახადეთ ზეგავლენის შეფასების პრაქტიკა, რათა მოხდეს კონკრეტული გადაწყვეტილებათა შედეგების ანალიზი.
- გამოიყენეთ შეფასების მრავალმხრივი მეთოდები (შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასებები) თითოეულ პროგრამაში და ამით მიეცით მოსწავლეებს თავიანთი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალება.
- იყავით მოქნილნი შეფასების ფორმატის და ჩატარების ფორმის შემუშავებისას.
- აქტიურად ითანამშრომლეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან, რათა დარწმუნდეთ, რომ შეთავაზებული პრაქტიკა პირდაპირ კავშირშია მათ საჭიროებებთან; და ასევე, ყველა განყოფილებასთან რათა გამოყენებული იქნას ურთიერთშემავსებელი და თანმიმდევრული მიდგომები.

ეს არის მარესა, იგი უნივერსიტეტის სტუდენტია და სწავლობს ინგლისურ ენას.

მარესას თავდაპირველი დიაგნოზი: „ვერბალურად არაკონტაქტური, კვადრიპლეგიის მქონე (ოთხივე კიდურის დამბლა), გონებრივი ასაკი - 2 წელი“.

“11 წლამდე სპეციალურ სკოლაში დავდიოდი, მომდევნო 2 წელი - სპეციალურ სკოლაში. არავის უსწავლია ჩემთან კომუნიკაცია.

ინტეგრირებულ სკოლაში რომ მივედი სწორედ ჩვეულებრივმა მასწავლებლებმა გადაწყვიტეს დახმარება.

ამდენად, მე მივიღე საშუალო განათლების ატესტატი. კოლეჯში ირწმუნეს ჩემი. უნივერსიტეტში მითხრეს, რომ შემიძლია ძალიან დამღლელ მისაღებ გამოცდებზე გასვლის ნაცვლად ესეები გავაგზავნო. ახლა ბოლო კურსზე ვარ, ინგლისური ენის სპეციალობით ; მინდა მწერალი გავხდე.“